

| | |
|---------------------------------------|--|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურა |
| საფეხური | ბაკალავრიატი |
| სწავლების ენა | ქართული |
| მოცულობა კრედიტებში | 240 კრედიტი |
| სწავლის ხანგრძლივობა | 4 წელი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | აუდიოვიზუალური რეჟისურის ბაკალავრი |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | კინო-ტელე ფაკულტეტებზე ჩასარიცხად აბიტურიენტმა წარმატებით უნდა გაიაროს შემოქმედებითი კონკურსი და შემდეგ წარმატებით ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდების სავალდებულო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, ერთ-ერთი უცხო ენა საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის აუცილებელია ერთ-ერთი შემდეგი (მესამე) საგნის: ისტორია / მათემატიკა /სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება / ლიტერატურა ჩაბარება. |
| პროგრამის მიზანი | აღზარდოს კინოხელოვნების დარგის სპეციალისტი, კინორეჟისორი, რომელსაც შემოქმედებითი უნარების შესაბამისად იმუშავებს კინოწარმოების სხვადასხვა სახეობასა და სეგმენტში, კერძოდ მხატვრულ და დოკუმენტურ კინოში. მოამზადოს სტუდენტები მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურის საფუძვლების პრაქტიკული და თეორიული ფართო ცოდნით. დაეხმაროს სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებაში; მისცეს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საბაზისო უნარი. მხატვრულ-შემოქმედებითი პროდუქციის (მხატვრული, დოკუმენტური,) შექმნა უნარი. პროგრამა მიზნად ისახავს, როგორც ადგილობრივ, ასევე საზღვარგარეთის კინოწარმოების სივრცეზე ორიენტირებულ, დამდგმელი რეჟისორის აღზრდას, რომელიც აღჭურვილი იქნება პროფესიული უნარებით, აუდიოვიზუალური და მისი მონათესავე დარგების, მეცნიერებების საბაზისო თეორიული-პრაქტიკული ცოდნით და მზად იქნება საქმიანობისთვის კინო წარმოებაში. |
| შეფასების სისტემა | I. დასწრება – ჩართულობა მაქსიმუმ -15 ქულა II შემოქმედებითი აქტივობა/დავალებები - მაქსიმუმ 25 ქულა III შუალედური შემოწმება - მაქსიმუმ 20 ქულა IV ფინალური გამოცდა -მაქსიმუმ 40 ქულა V საბოლოო შეფასება - მაქსიმუმ 100 ქულა |
| სწავლის შედეგები | განსაზღვრავს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების, რეჟისურის არსს, იცნობს დარგის მთავარ პრინციპებს: რომელიც მოიცავს თეორიებისა და მეთოდოლოგიების კრიტიკულ გააზრებას, სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას; დარგობრივი |

| | |
|-------------------------------|---|
| | <p>ტერმინოლოგიის გამოყენებით განიხილავს აუდიოვიზუალური და მასთან მონათესავე ხელოვნების დარგების სპეციფიკურ ნიშნებს და მახასიათებლებს, პროფესიის საფუძვლებს.</p> <p>აანალიზებს აუდიოვიზუალური ხელოვნების და მასთან მონათესავე დარგების ისტორიის განვითარების გზებსა და ძირითად ტენდენციებს, თეორიულ მოსაზრებებს.</p> <p>ვიზუალური მასალის რიტმულ-მონტაჟურ წყობით, მიზანსცენით, ხმოვან-პოლიფონიურ რიგით, კადრირებით, განათების, გადაღების სხვადასხვა სისტემებისა და მეთოდების გამოყენებით ქმნის მხატვრულ სახეებს; გეგმავს და მართავს გადასაღებ სივრცეს; ვერბალური და წერიტი ფორმით აყალიბებს და გადასცემს საკუთარ შემოქმედებით ჩანაფიქრს სამუშაო ჯგუფს. სარეჟისორო კონცეფციიდან გამომდინარე ახდენს რეალობის რეკონსტრუირებას, არჩევს გარემოს/ლოკაციებს/ გმირთა ტიპებს.</p> <p>აუდიოვიზუალური პროდუქტის შექმნის პროცესში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში აყალიბებს საავტორო ხედვას/კონცეფციას და ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით წარუდგენს საზოგადოებას; აუდიოვიზუალური ხელოვნების თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნით, ქმნის კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს.</p> <p>დამოუკიდებლად წარმართავს და აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს, განსაზღვრავს შემდგომი სწავლის საჭიროებებს; პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით, არაპროგნოზირებად გარემოში გეგმავს და ახორციელებს შემოქმედებით პროცესს.</p> |
| დასაქმების სფერო | კინოწარმოება; სახელოვნებო პროფილის დაწესებულებები; შემოქმედებითი სტუდიები და სახელოსნოები; აუდიო-ვიზუალური სტუდიები, კინო-ტელე ლაბორატორიები; სარეკლამო სამსახურები და სხვ. |
| პროგრამის ხელმძღვანელი | ლევან თუთბერძე-კინორეჟისორი, ასოცირებული პროფესორი |
| საკონტაქტო პირი | kinotvxisxi@tafu.edu.ge |
| სასწავლო კურსები | სასწავლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს შეისწავლის მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურას, დრამატურგიას, მსახიობის ოსტატობას, კინო-ტელე ოპერატორის ხელოვნებას, ხმის რეჟისურას, კინომხატვრობას, ვიდეოგრაფიკას, კომპიუტერული(ციფრული) მონტაჟს ასევე მსოფლიო და ქართული კინოს ისტორიას, სახვითი ხელოვნების, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას, აკადემიური და გამოყენებითი მუსიკა, საპროდუსერო საქმე და სხვა საგნებს. |